ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №491921

ნომერი: AR199699

თარიღი : 23.12.2012

გაცემის თარიღი : 03.01.2013

გაცნობის თარიღი : 04.01.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , I ჩიხი N4 ; ქალაქი თბილისი , მაყაშვილის ქ.2-ე ჩიხი N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატო ალფაიძე პ/ნ 01010013199
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 2 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008008905
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბაადურ ბარაბაძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404954046

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.5
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 480.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1655.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1623.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 551.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 31.5

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,, ბ" ქვეპუნქტისა და მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N52, 25.12.2012წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, მაყაშვილის ქუჩა I ჩიხი N4, მაყაშვილის ქუჩა მე–2 ჩიხი N2–ში არსებული შენობების დემონტაჟის პროექტს.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ნ. ალფაიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ნ. ალფაიძეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მაყაშვილის ქუჩა I ჩიხი N4, მაყაშვილის ქუჩა მე–2 ჩიხი N2–ში არსებული შენობების დემონტაჟის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.